საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 908 2018 წლის 26 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების შესახებ

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 მარტის №690 განკარგულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული და ამავე განკარგულების მე-3 პუნქტის საფუძველზე უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 2 560 000 (ორი მილიონ ხუთას სამოცი ათასი) ლარი, მათ შორის:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის – 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარი;

ბ) საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის – 660 000 (ექვსას სამოცი ათასი) ლარი;

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის – 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

დ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის – 200 000 (ორასი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**